აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

კომისიის სხდომის

ოქმი №1

აბაშა. 2026 წლის 27 იანვარი

ოქმი№1

სხდომას ესწრებოდნენ: შალვა ჯღარკავა, პაატა ხოშტარია, დიმიტრი ვერულაშვილი, იაგო თოდუა, გელა ლაბარტყავა, მურმანი გუნია, ზაზა ალასანია და გიორგი პაპასკირი.

დღის წერიგი:

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის აბაშის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურის ექსკლუზიური „ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 11 აგვისტოს #56 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.
მომხს. შ. ჯღარკავა

კენჭი ეყარა დღის წესრიგს. მომხრე 8. წინააღმდეგი 0.

მოისმინეს:

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო მერის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის აბაშის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურის ექსკლუზიური „ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 11 აგვისტოს #56 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ. წერილს თან ერთვოდა საფინანსო სამსახურის უფროსის განმარტებითი ბარათი, სადაც განმარტებულია თუ რატომ გახდა აუცილებელი აღნიშნული პროგრამის გაუქმება აუცილებელი.

აზრი გამოთქვეს: პ. ხოშტარიამ, მ. გუნიამ, ი. თოდუამ და გ. პაპასკირმა. კომისიის წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ და სრულად მხარს უჭერენ წარმოდგენილ დადგენილების პროექტს,

მომხრე 8 წინააღმდეგი 0

დაადგინეს.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტი სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, გაზიარებულია პროგრამის გაუქმების აუცილებლობა და

საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისია რეკომენდაციას აძლევს საკრებულოს ბიუროს აღნიშნული საკითხი განხილულ იქნას საკრებულოს სხდომაზე

კომისიის თავმჯდომარე: შ. ჯღარკავა

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო

საფინანსო საბიუჯეტო კომისია

დასკვნა

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, გაანალიზებულია პროგრამის გაუქმების აუცილებლობა და საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისია რეკომენდაციას აძლევს საკრებულოს ბიუროს აღნიშნული საკითხი განხილულ იქნას საკრებულოს სხდომაზე

კომისიის თავმჯდომარე შ. ჯღარკავა